ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3/6

2024 წლის 28 მარტი

ქ. ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის №9/12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის №9/12 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/04/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.111.016263) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის 2^1 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რეზიდენტი საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის, რომლებიც ეწევიან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, მუნიციპალური ტრანსპორტით -ავტობუსებით (M3 კატეგორია – 5 ტონაზე მეტი), მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების ქონების გადასახადი შეადგენს 0,001 პროცენტს – 2027 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**